საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 74

ხუთშაბათი, ნოემბრის 17
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერატივ „მეურნე“-ს
მომხმარებელთა საყურადღებოთ
მიღებულია დიდძალი საქონელი და ურიგდება მომხმარებლებს ხელმისაწვდომ ფასებში.
ბრინჯი, პურის ფქვილი, სქელი რძე, თხილი, კართოფილი,—საპონი ხელის საპონი და სარეცხის, ამერიკული კალოშები, ჩაი სხვა და სხვა ფირმების საღებავები, ფეხსაცმლის საცხი, მამაკაცის და ქალის წინდები, ამერიკული საზოგადოებიდან მიღებული პალტოები ქალის და კაცის, ღვინოები ნაფარეული, და სხვა ფირმების პარტვეინი, მადერა, ხერესი და სხვა ტკბილი ღვინოები.
75
გამგეობა.

დიდად დამწუხარებულნი: მამა დავითი ნიკოლოზის ძე, დედა მარიამი სარდიონის ასული, დები: ელენე, ნინა, თამარი და ძმა ვალიკო ციციშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უეცრად დაღუპვას ფრენის დროს ნოემბრის 13 ს სამხედრო მფრინავის

სოსო ციციშვილის

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება ხუთშაბათს, ნოემბრის 17-ს 12 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (ვერაზე). 79

საქართველოს საჰაერო ფლოტის უფროსი, თანამშრომელნი და წითელარმიელნი აუწყებენ ტრაგიკულად დაღუპვას ფრენის დროს ნოემბრის 13 ძვირფას და დაუვიწყარ ამხანაგის სამხედრო მფრინავის

სოსო ციციშვილის

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება ხუთშაბათს, ნოემბრის 17-ს 12 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიიდან წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (ვერაზე). 80

საქართველოს საჰაერო ფლოტის ესკადრილიის უფროსი. თანამშრომელნი და წითელ არმიელნი აუწყებენ ტრაგიკულად დაღუპვას, ფრენის დროს ნოემბრის 13-ს ძვირფას და დაუვიწყარ ამხანაგის სამხედრო მფრინავის

სოსო ციციშვილის

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, გამოსვენება ხუთშაბათს, ნოემბრის 17 ს 12 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიიდან წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (ვერაზე). 81

შემცდარი ნაბიჯი

ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობას მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება წინ. საბჭოთა რესპუბლიკების მშენებლობა და მოღვაწეობა შეუძლებელი შეიქმნა ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო იმ ობიექტიურ გარემოების გამო, რომელიც შექმნეს საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციონურმა და იმპერიალისტურმა ძალებმა. ბურჟუაზიული ქვეყნები ყოველის ძალღონით სცდილობენ სისხლის მორევში ჩაახრჩონ მუშურ-გლეხური რესპუბლიკები და ამით ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხონ რევოლიუციონური ენერგიის გამტარებელი ორგანიზაციები. ეს არის ის მთავარი მიზეზი,—გარედან შექმნილი ობიექტიური გარემოება, რომელიც აფერხებს რევოლიუციონური რესპუბლიკების აყვავებას, წინმსვლელობას, წარმატებას. ეს მთავარი მიზეზია, რომლის მოსპობა და გადალახვა არც ისე ადვილი საქმეა, სანამ არსებობენ დიდ-ტანიანი იმპერიალისტური სახელმწიფოები.

მაგრამ არის სხვა მიზეზებიც, სხვა პირობებიც, რომელნიც შემაფერხებელ ზედგავლენით ევლინებიან ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის ეს მიზეზები ჩვენი რესპუბლიკების საზღვრებში მარხია, ეს არის ჩვენი გამოუცდელობა, ჩვენი სიმჩატე და, ვიტყვით, დაუდევრობაც. ჩვენ არა ვართ მომზადებული ყოველივე მოვლენისათვის, ახალი წყობილების აღმშენებლობისათვის, ჩვენ გვაკლია გამოცდილება და ცოდნა ობიექტიური გარემოებისა, შექმნილ პირობებს ჩვენ შევუდგებით არა პრაქტიციზმით საზომით, საერთოდ მომქმედ ძალთა განწყობილებისა და ობიექტიური დამოკიდებულების მახედვით, არამედ წმინდა თეორიული საზომით. ეს იწვევს დიდ გაუგებრობასა და ისეთს შეცდომებს, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს ჩვენი საქმისათვის. ჩვენ გვაკლია „უდიდესი ტაქტი და სიფრთხილე“, ეს კი, აუცილებლად, დიდი დანაკლისია, დიდი დეფექტია, რომელიც მოითხოვს ეხლავ ყურადღების მიქცევას და რადიკალური ზომების მიღებას მისი განსაკურნებლად.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ერთ მთავარ საგნად შეიქმნა ამიერ-კავკასიის ერთა ურთიერთობის საკითხი. ამ კითხვის წესიერ და გადაჭრას დღევანდელს პირობებში [illegible] მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერის წინსვლელობისათვის და საერთოდ რევოლიუციონური მოძრაობის დასაცავად გვინებლად. ჩვენ ბედმა თუ უბედობამ ისეთს გეოგრაფიულს ერთეულზე მოგვანიჭა ადგილი, რომელიც ჩვენგან დიდ სიფხიზლესა და დაკვირვებულს მოქმედებას მოითხოვს. ჩვენი გეოგრაფიული და პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა გარკვევით გვიკარნახებს მტკიცე მეგობრული ურთიერთობის დამყარებას მეზობელ ერებთან. მეზობელ ერებთან ურთიერთობის განმტკიცების საკითხი შეუწყვეტლივ ისმის ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ჰორიზონტზე და დღესაც ვერ მოგვინახავს ამისათვის გარკვეული ფორმა და შინაარსი. ჩვენ ძიების პროცესში ვართ. პოლიტიკური ურთიერთობის ფორმები დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა იცვლება და სხვა და სხვანაირობს, განა ეს დასაშვები და შესაძლებელია ჩვენი პირობებისათვის, ჩვენი ინტერესებისათვის? ცხადია რომ არა. ჩვენ დღეს ისეთს მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ ასეთი არევდარევა და შეუძლებელი ცვალებადობა ჩვენი ერის სახელმწიფოებრივის წყობილებისა და საერთაშორისო ურთიერთობის ძლიერ დიდ ზიანს უმზადებს საბჭოთა ხელისუფლებას.

დღევანდელი დღის ლოზუნგი შეიქმნა დამოუკიდებლობიდან—ფედერაციისაკენ. ადგილობრივმა ხელისუფლებმა და რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის კავბიურომ ოქტომბრის ოთხი წლის თავზე ამიერ-კავკასიის ფედერაციით აღნიშნეს დიდი დღესასწაული, მეორეს მხრით, 10 ივლისს ქ. პარიზში ამიერ-კავკასიის ყოფილი მთავრობები თითქმის ასეთივე რეზოლიუციით გაუმასპინძლდნენ ევროპას. რას ნიშნავს ყოველივე ეს, მოითხოვს კი ჩვენი მდგომარეობა ასეთი ნაბიჯების გადადგმას?

ჩვენთვის გარკვეული და ნათელია, რომ მენშევიკური მთავრობის ასეთი ნაბიჯი აშკარა ავანტიურა არის. ის ნაკარნახევია ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ და ჯსარჩულად უდევს ანტი-ბოლშევიკური რეალური ძალის შექმნა. ემიგრაციაში მყოფ მთავრობისათვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა არავის დაუშლელბია და ამისათვის მას არავითარი უფლება არ ჰქონდა. ამ ნაბიჯს ჩვენ ვგმობთ როგორც ულირს და დაუშვებელს.

როდესაც ასეთი დიდი აქტი ხდება ერის ცხოვრებაში საჭიროა მეტი დაკვირვება და მეტი ყურადღების მიქცევა გარემო პირობებისთვის.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ადგილობრივ ხელის უფლებას დიდი დაკვირვება გამოეჩინოთ და სავსებით გაეცნოთ ობიექტიური გარემოება. რეზოლიუციის გამოტანას არ უძღოდა არავითარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დისკუსიები, პარტიულ ორგანოში, არც მუშათა წრეებში და პარტიულ ორგანიზაციებში. საზოგადოებისათვის ხომ ასეთი ნაბიჯი სრულიად უცნობი იყო. ნუთუ ასეთი დიდი აქტი ასე ფარულად უნდა იქნეს გადაწყვეტილი ჩვენი მშრომელი ხალხის დაუკითხავათ და მისი სურვილების გამოურკვევლობის გარეშე?

შეიკრიბა რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის კავკასიის ბიურო და გამოიტანა რეზოლიუცია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ და ეს საქვეყნოდ ხდება, რომ კავბიუროს დადგენილება სახელმძღვანელოთ შეიქმნას ამ რესპუბლიკებისათვის და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმასაც შეუდგნენ. განა მისაღებია ასეთი წესი პოლიტიკური გეზის გამომუშავებისა და პრაქტიკულ საქმიანობის დროს, სად არის ჩვენი ნებისყოფა, ჩვენი სურვილები და მიზნები? კავბიურო სწყვეტს და ჩვენ უკრიტიკოთ ვღებულობთ ამ დადგენილებას.

ჩვენი ერის პოლიტიკური ფორმა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სავსებით, არ დამთავრებულა სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცება და ხელმძღვანელი ორგანო ასეთს დიდ პასუხისმგებელ ნაბიჯს სდგამს. ჩვენში დღეს დღეობით რევოლიუციონური კომიტეტის ხელისუფლებაა, რომელიც დროული და გარდამავალია თავისი დანიშნულებით. აგერ მეცხრე თვე გადის და საბჭოების მოწვევა ჯერაც არ მომხდარა და ვგონებთ ნაბიჯიც არ არის გადადგმული მისი მოწვევისათვის ამ ახლო დროში. საბჭოები უნდა შეიქმნეს საქართველოს მშრომელი დემოკრატიის სრული ნებისყოფის, მისი ბატონობის გამომხატველი. ჩვენ არა გვაქვს ასეთი ორგანო და ამავე დროს დიდი და გადამჭრელი მნიშვნელობის ნაბიჯებს ვდგამთ. რას ნიშნავს ეს? არის ეს თუ არა პარტიის სრული დიქტატურისა და ძალმომრეობის გამოხატვა მშრომელ ხალხზე? არსებითად ეს ასე არის და ჩვენ არ შეგვიძლია ამის წინააღმდეგ არ ამოვიღოთ ხმა. რევკომსა და პარტიას არ აქვს უფლება საბჭოების მოწვევამდე ასეთი დიდი აქტები მოახდინოს და ხალხის დაუკითხავად გადასჭრას საქართველოს დამოკიდებულობის საკითხი. ჩვენ მოვითხოვდით და დღესაც მოვითხოვთ, რომ მთელი ძალა-უფლება გადაეცეს საბჭოებს, მშრომელი ხალხის წარმომადგენელთ და ჩვენი საჭირბოროტო საქმეები მათ გადასწყვიტონ.

კომუნისტურს პარტიას ჩვენში პირველი ყრილობაც ვერ მოუწვევია, ვერ გაუხდია ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები პარტიულ ფართო წრეების დისკუსიის საგნად და ამავე დროს კი ჩვენ დიდი ფაქტის წინაშე ვსდგებით.

რას ნიშნავს ყოველივე ეს, არის თუ არა ნაჩქარებით გადადგმული ნაბიჯი ისეთს საქმეში, რომელიც დიდ დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს? ცხადია, რომ არის. ეს კი ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამხ. ფ. მახარაძის მოსაზრებას, რომ კომპარტიამ „უნდა გამოიჩინოს უდიდესი ტაქტი და სიფრთხილე“, რომ მას მართებს აქ შესაფერისი სიდინჯე და აუჩქარებლობა, ნაკლები გატაცება ზოგადი ლამაზი ფრაზებით, მეტი დაკვირვება და ანგარიშის გაწევა „შექმნილ პირობებისათვის“, (იხ. „კომ.“ № 200). ჰპტივცემული ფ. მახარაძის მოსაზრებანი ღირსშესანიშნავი და მისაღებია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმა ერთობ ნაჩქარებია და არ შეესაბამება ჩვენს პირობებს, სანამ ჩვენ არ მოგვიწვევია საბჭოები, მეტი აწონ-დაწონვა და მეტი სიფხიზლე,—აი რას მოითხოვს ჩვენი მდგომარეობა.

ხიმ. ხუნდაძე.

ჩვენ და ისინი

3.

მეორე წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი მემარჯვენე ამხანაგები „საკუთარი ძალის“ ძლიერებით პრინციპშივე უარყოფენ ფედერალიზმს და ქეშმარიტად „უფედერაციო ფედერალისტები“ არიან.

ეხლა შევჩერდეთ თუ როგორია მათი სოციალისტური მეთოდები, მათი სოციალისტური პრაქტიკა.

დღეს ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის შეურიგებელი ბრძოლა სწარმოებს. რევოლიუციის სამყარო ებრძვის რეაქციის სამყაროს. მათი ერთად მოთავსება, მათი შერიგება და საშუალო გზის გამონახვა შეუძლებელია თეორიულად და ვანუხორციელებელია პრაქტიკულად. აქ ორი სამეურნეო ორგანიზაციაა დაპირისპირებული. პირველის გამარჯვება მეორეს უარყოფაა, მეორეს გამტკიცება პირველის განადგურებაა.

კაპიტალისტურმა მეურნეობამ თავის უმაღლეს განვითარების ეტაპში იმპერიალიზმი წარმოშობა, რომელმაც დაიმონა ჩამორჩენილი ქვეყნის ერები და კლასები. ფინანსიური კაპიტალი უკიდურესი ფორმა გახდა კაპიტალისტური წყობილების და მან კიდეც მოჰჭამა თავისი დრო, შესძლო მთელი მსოფლიოს დამონება, კაპიტალის მაგნატების პოლიტიკამ ვერ შესძლო ნორმალი გზით სვლა და „ულტრა იმპერიალიზმის“ წარმოშობა. კოლონიების პატრონი ქვეყნები ერთმანეთს იარაღით დაერიენ და ევროპის არე სისხლით მორწყო. მაგრამ ყველა დამარცხდა.

მსოფლიო ომმა სავსებით გამოაშკარავა კაპიტალისტურ წყობილების სიდუხჭირე, მისი გადაგვარება. ომი რევოლიუციით დასრულდა, მშრომელი ხალხი გამოვიდა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე და ძველი სამყაროს დასანგრევ საშუალებათა ძიებას შეუდგა. მსოფლიო მაშტაბში ერთმანეთს დაუპირი პირდა რევოლიუცია და რეაქცია. ორივე მოძრაობამ თავ-თავისი ძალები შეაგროვა, საომრად გაემზადა. საუკუნოებით დაგროვილი ენერგია მუშათა კლასისა პოტენციიდან გადმოიშალა და აქტიური ბრძოლით მოინდომა კაპიტალისტური წყობილების დამსხვრევა.

მაგრამ სოციალისტთა შორის თანხმობა არ გამოდგა. მენშევიზმა მარქსის ტიპიკონის დოგმებს არ გადასცდა და იგი დიალექტიურად მსრბოლ ისტორიულ პროცესს მიენდო. მან უარი განაცხადა რევოლიუციის რაზმთა შორის ადგილის დაჭერაზე. მასთვის რევოლიუცია დასრულდა მონარქიზმის დამხობით და ფეოდალურ ნაშთთა მოსპობით. მისი გაგებით კაპიტალიზმის განვითარება იყო საჭირო და არა კაპიტალიზმის დამხობა, მისი მოსპობა. ასეთი მხედველობა შეიძლება კიდევ გამართლდეს თეორიის მკაცრი დაცვით. მაგრამ სხვა თეორიის ხალხიც რევოლიუციას განზე გაუდგა.

ჩვენი მემარჯვენე ამხანაგების „განზე დგომის“ ახსნა სოციალისტ-ფედერალიზმით აღარ ხერხდება. ჩვენ არასოდეს არ მიგვაჩნდა სოციალისტური წყობილების დასამყარებლად კაპიტალიზმის უმაღლესი განვითარება. ჩვენთვის სხვა გაგება იყო, სხვა გზა არსებობდა, სხვა ისტორიოსოფია გვახელმძღვანელებდა.

ჩვენი გაგებით სოციალიზმი იყო არა აუცილებელი მოვლენა, რომელსაც ჰეგელიანური ტრიადა ლოღიკურად დაასკვნიდა, არამედ ის იყო ხახუნველი მოვლენა, ზნეობრივი იდეალი, რომლისთვის ადამიანის ნებისყოფას მის, შემოქმედებას, მის აქტიურობას უნდა ემუშავნა და თავისი ბრძოლით უნდა მოეპოებინა „შრომის სუფევა“.

აქტიური სოციალიზმის პრინციპები ვერ ეგუებოდა მარქსისტული სოციალიზმის მეთოდს. მათ ობიექტიურ სოციოლოგიის კონცეპციებს ჩვენ სუბიექტიურ სოციოლოგიის მოსაზრებებს უპირისპირებდით. ეს იყო ოდესღაც... მაშინ, როდესაც ჩვენს ყოფილ ამხანაგებსა და მენშევიკებს შორის თეორიული ხასიათის კომპანია იყო გამართული ხასიათის კომპანია იყო გამართული. ეს იყო მაშინ, როდესაც პარტიის სულის ჩამდგმელნი მოქმედობდნენ, მოღვაწეობდნენ და სწორედ მიმართავდნენ პოლიტიკის გეზს თავისი იდეოლოგიის თვალსაზრისით. მაგრამ დღეს ყოველივე შეიცვალა. აქტიური სოციალიზმის ნიადაგზე მდგომი ხალხი ამტკიცებს, რომ სოციალური მოძრაობა დამარცხდება იმიტომ, რომ კაპიტალიზმის განვითარება კიდევ ახალ ფორმებს იპოვის ნახალ გამოხავალს მონახავს.

სად არის აქ ჩვენი ყოფილი ამხანაგების თეორია? სად არის აქტიური სოციალიზმის მეთოდები? სად არის სოციალ ფედერალიზმი?

ჩვენი თეორია კაპიტალიზმის დანგრევის თეორია იყო, ჩვენი იდეოლოგია იყო. ამ ბრძოლას უნდა დაემხო კაპიტალიზმი. დღეს ეს ბრძოლა სწარმოებს მსოფლიო მაშტაბში. სავსებით მართლდება ჩვენი მსოფლმხედველობა. სოციალიზაციის პრინციპი, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის ფორმა პრაქტიკულად განახლებას განიცდის, ფედერალიზმის პრინციპი რევოლიუციის ფრონტს აწერია. აქტიური ბრძოლა სოციალიზმისთვის სწარმოებს. მაგრამ სად არის ჩვენი მემარჯვენენი? სად არის მათი პრაქტიკა? სად არის მათი პრინციპები?

შესაძლებელია და ასედაც არის, რომ ბევრი ლოზუნგი რევოლიუციისა არ სრულდება, ბევრი დაპირება გაუნაღდებელი რჩება. ბევრი შეცდომები და ბოროტმოქმედებანი არსებობენ. შეიძლება უმეტნაკლოდ არ ტარდება ის პრინციპები, რაც ჩვენს იდეოლოგიის ქვაკუთხედს შეადგენს, მაგრამ რევოლიუციის დროს ასეთი პედანტიურობა, წვრილმანით დიდი მოვლენების უარყოფა. ეპატიება სოციალისტურ პარტიას, იმ პარტიას რომლის პრინციპების თანახმად სწარმოებს ბრძოლა?

სოციალისტ-ფედერალისტს დღეს არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ მზად არ არის ობიექტიური და სუბიექტიური პირობები სოციალიზმისათვის. მას შეუძლია რევოლიუციის არ მიღება იმ მოსაზრებით, რომ თანამედროვე მოძრაობა მთელ თავის დეტალებში არ ემორჩილება სოც.-ფედერალისტის ხახუნველობას. მაგრამ მაშინ ხომ სამუდამოდ ხელი უნდა აიღონ რევოლიუციაზე? მსოფლიო რევოლიუციის მიმმართველი, მისი ხელმძღვანელი ჩვენი მემარჯვენე ამხანაგები იქნებიან ოდესმე? რა თქმა უნდა არა. ამიტომ ან დღეს ისინი რევოლიუციის ნიადაგზე უნდა იდგენ ან სულ თავი უნდა გაანებონ აქტიური სოციალიზმის პრინციპებით ბოროტ-მოქმედებას.

სხვა საკითხია თუ რა ადგილი უჭირავს მათ პრაქტიკაში რევოლიუციონიზმს. ამაზე შემდეგ.

სერ. ამაღლობელი.

საბჭოთა აღმშენებლობის გამოფენა

3.

დიდ დარბაზში შესვლისთანავე მარცხნივ კედელთან მოთავსებულია იუსტიციის სახალხო კომისარიატი. მის მიერ გამოფენილ ექსპონატიეს შეადგენს კატორღელთა ბორკილებს, რაც უკვე ხმარებაში საერთოდ აღარ არის საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების დროს სახელმწიფოში და რამაც, ასე ვსთქვათ, თავისი დრო, მოსჭამა. რევოლიუციამ საერთოდ დაამსხვრია მონობის ბორკილები და მოსპო მასთანვე ადამიანის დაცინვა, მისი ბორკილებში დამწყვდევა. „Цепи канули в вечность“ ვკვუბნეს წარწერა, რომელიც ბორკილებთან

ძევს. ბორკილები არის გამოფენილი როგორც ფეხის, ისე ხელის. გარდა ამისა იქ რამოდენიმე ნიმუშია ტუსაღთა ნაშუშევარისა, რაც მეტად საუცხოოდ არის შესრულებული. კომისარიატის და რევტრიბუნალის მარტივი, ქართულად შედგენილი დიაგრამები, ნათლად გვიჩვენებენ მათ მოქმედებას, მათ მუშაობას. იქვეა გამოფენილი ცნობილ მოქანდაკე ი. ნიკოლაძის ქანდაკების მოდელი „სამშობლო სამართლიანობა", მხოლოდ თვით ქანდაკება გამოდგმულია იუსტიციის კომისარიატში. აღსანიშნავია იქვე გამოფენილი ბანდიტიზმის იარაღები. სხვა და სხვა დანები, გასაღებები სამტეხელი და ყალბი ბონების საბეჭდი ლიტოგრაფიული ქვა.

იუსტიციის კომისარიატის გვერდით კედელი უკავია საგარეო საქმეთა კომისარიატის დიაგრამებს, რომელნიც ხელმიწყვნით ხელოვნურად და მხატვრულადაა შედგენილი. ყურადსაღებია სქემა—კარტოგრამა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობისა საქართველოში, რაც მართლაც მშვენივრად არის შესრულებული სრულუფლებიან წარმომადგენლების და სავაჭრო დელეგაციების აღნიშვნით ეროვნულ სახელმწიფოებრივ დროშების მიხედვით. ყოველივე ამასთანავე შესრულებულია ქართულად რაც თავისთავად ყურადღებას იპყრობს. ყარსში 13 ოქტომბრის დადებული ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტებიც, იქვეა გამოფენილი.

ზემოაღნიშნულ კომისარიატების მახლობლად დარბაზის შუაგულისაკენ მოთავსებულია მთავრობის წევრების სურათები.

აღსანიშნავია საერთოდ რევკომის მუშაობა, რაც გადმოცემულია დიაგრამებით, მაგალითად მისი სტრუქტურა, მუშაობა, დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფოებთან და სხ. ყურადსაღებია დიაგრამა სანიტარულ (50.000.000.000 მ.) გადასახადის განაწილებისა, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს ფრჩხილებში ჩასმული: „Преступление советской власти". იქვე გამოფენილია ისტორიული აქტები, ისტორიული დღეები და სხ. სამწუხაროდ ყველაფერი რუსულადაა წარწერილი.

გადავიდეთ მეორე ოთახში, რომელიც დიდ დარბაზის გვერდითაა მოთავსებული და სადაც მოწყობილია „ОКА"—კავკასიის არმიის ყველა დარგების მრავალი ნიმუში:

აქ არის კავკასიის არმიის შტაბი მთელი თავისი მექანიზმით, მთელი თავისი ორგანიზაციით. ყველა დარგს თავისი მოწყობილობა, თავისი მუშაობის ნიმუშები ადასტურებს. აგერ კარებიდან მარჯვნივ რკინის გზის ჯარის სამხედრო მიმოსვლის სამართველოა თავისი დიაგრამებით, მის გვერდის ჯავშნოსანთა ნაწილი, შემდეგ „უპრობარგი", რომელსაც არმიელის დღიური ულუფაც კი გამოუფენია, მას მოჰყვება არმიის მომარაგების განყოფილება, რომელსაც მრავალი ექსპონატები წარმოუდგენია, თუ როგორ აძლევენ ჯარს ფეხსაცმელს, იარაღს და სხ.

აქვეა სასანიტარო და საბეითალო ნაწილები თავისი დაწვრილებითი მოქმედებით. აღსანიშნავია ამ მხრივ სასანიტარო განმანათლებელი მუშაობა ჯარში: მრავალი ბროშურები სხვა და სხვა სნეულებათა შესახებ. საგანგებო სასანიტარო ჟურნალი, რომელსაც ამშვენებს პროფესორთა და ასისტენტ-ექიმების სამეცნიერო გამოკვლევები. ერთი სიტყვით სასანიტარო განათლებას ჯარში დიდათ გადუდგამს ფეხები, რაც აუცილებლივ აღსანიშნავია.

შემდეგ მოყვება უკვე სატეხნიკო ნაწილი, მაგ. საინჟინრო, საავიაციო, საკავშირო და საავტომობილო, ყველა ამ ნაწილებს წარმოდგენილი აქვთ მრავალი ექსპონატები, სურათები დიაგრამები თავიანთ დარგებიდან.

აღსანიშნავია აგრეთვე კავკასიის არმიის განათლების სამმართველო, ყველა თავისი განყოფილებებით, რაც მაჩვენებელია ამ მხრივ დიდი მუშაობისა ჯარში. იქვე გამოფენილია დიდი რუკა, სადაც დაწვრილებით აღნიშნულია ყოფილი XI არმიის ვითარება და სამხედრო მოქმედებანი ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში.

საერთოდ კი „ოკა"-ს ოთახი ლამაზად და კარგად არის მოწყობილი.

დერეფანი, რომელიც აგრეთვე გამოფენას უკავია, მრავლადაა მოფენილი დიაგრამა—კარტოგრამებით.

დერეფნის ერთი ბოლო უჭირავს განათლების კომისარიატის მუშათა ფაკულტეტების და პროფესიონალურ სატეხნიკო განათლების სექტორს; ეს განყოფილება არ არის ინტერესს მოკლებული, მხოლოდ იქ ამხსნელები ვერ გაწვდიან იმ ცნობებს ქართულად, რომელიც ამ შემთხვევაში საჭიროა პრესისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერც ერთ წარწერას იმ განყოფილებაში ვერ ნახავთ ქართულად.

დერეფნის ბოლოში აღსანიშნავია ინჟინერ ავდეევის პროექტები, რომელთა შორის ყურადსაღებია რიონის ნავთსადგურის პროექტი. მართლაც კარგია პროექტი, მაგრამ მის განხორციელებას არა მგონი რომ ვეღირსოთ ახლო მომავალში. პროექტის მიხედვით ეს ადგილი ორპირთან უნდა გადიქცეს საუკეთესო საოკეანო ნავთსადგურ ქალაქად, რომელიც გავრცელდება ოზურგეთზე, ფოთზე და ოჩემჩირეზე და რიონ-ფოთის მიდამოების ტბები გადაიქცევა უმაღლეს კულტურის სუბტროპიკულ ფლორისა და ფაუნის ველებათ და ბაღებათ. ამგვარათ იმ სნეულებით და მრავალ ბაქტერიებით სავსე მიდამოები გადაიქცევა საუკეთესო ადგილად, პირდაპირ სამოთხედ, სადაც აღარ იქნება მალარია და ციება, უბედურება და ავადმყოფობა და რიონი და ცხენის წყალი, რომელიც ელექტროფიკაციისათვის ამუშავდება ერთი მილიონ ცხენის ძალის მიცემით.

ასეთივე პროექტია აჭარის და ლაზისტანის მიდამოებში, ჭოროხის და აჭარის წყლის საშვალებით ნაოსნობის გახსნა ამ მიდამოებში საერთო ქალაქ-ბაღი-ნავთსადგურით ჭოროხის პირას, ზღვასთან.

კარგია პროექტები, კარგი.

იქვე წარმოდგენილია სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, რომელსაც დიაგრამებთან და სურათებთან ერთად გამოფენილი აქვს დაჭრილ-დასახიჩრებულთა ნამუშევარი. ერთ დიაგრამიდან სჩანს, რომ დაჭრილ დასახიჩრებულთა რიცხვი, რომელიც აღნუსხული აქვს დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირს, უდრის: ქართველები 667, სომხები 44, რუსები 36.

აღნიშნულ კომისარიატის გვერდით გამოფენილია სასურსათო კომისარიატის მოქმედების რამოდენიმე რუსული დიაგრამა.

შუა ადგილი დერეფანში უკავია სახელმწიფო სტატისტიკას, რომლის აღწერას შემდეგ მოვათავსებთ.

ს. ახლანიშვილი.

ახალი ამბები

— **ისტორიკოსი გ. ყიფშიძის გარდაცვალება.** 13 ნოემბერს გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ლიტერატორი და მწერალი გ. თ. ყიფშიძე. მისი დაკრძალვა იკისრა ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატმა.

— **განათლების მუშაკთა კავშირში.** პარასკევს 18 ნოემბერს საღამოს 6 საათზე დანიშნულია კრება (პლეხანოვის ქ. № 9. სკოლის დარბაზში) ტფილისის ყველა სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახალხო სახლების—გამგეების. გაირჩევა თანამშრომელთა მიღება-დათხოვნა-გადაყვანების საკითხი. დასწრება სავალდებულოა.

პარტიაში

დღეს შუადღის 12 საათზე „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

—

მთავარი კომიტეტის მდივნის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე გაზ. „ტრიბუნის" რედაქციაში.

—

პარტიული სამკითხველო. პარტიის ცენტრალურ ბიუროში გაიხსნა სამკითხველო. სამკითხველოში ყოველ დღიურად არის რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის ყველა პერიოდული გამოცემანი. ამ დღეებში დაიწყება წიგნების გაცემაც. სამკითხველო ღიაა სად. 5—9 საათამდე. სამკითხველომ შეიძინა ახლად გამოცემული პოლიტიკური წიგნები.

—

მემარცხენე სოციალ.-ფედერალისტთა ახალგაზრდათა დრ. მთავარი კავშირი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ წევრთა რეგისტრაცია სწარმოებს ცენტრალური ბიუროს ახალგაზრდათა ოთახში ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ახალგაზრ. დრ. კავშირი.

უცხოეთი

მდგომარეობა სპარსეთში. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც მიღებულია ცენტროკავშირისაგან ენზელში, პოლიტიკური მდგომარეობა სპარსეთში ამგვარია: მახარამის შავი დღეების შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა მთელი ორი კვირის განმავლობაში და რომლის მსვლელობაში მთელი სავაჭრო ცხოვრება სპარსეთისა შეჩერებული იყო, დაიწყო სერიოზული გამწვავებული გაუგებრობა რევოლიუციონურ მთავრობის მეთაურის ხალუ კურბანის და ქუჩუკ-ხანის შორის. ამ შეხლა-შემოხლის დროს რეშტი გადადიოდა ხელიდან ხელში, აგრეთვე არ მოწყვეტილა ტერორისტული აქტი მიმართული იმ პირთა წინააღმდეგ, რომელიც სდგანან მთავრობის სათავეში. აშკარა შეჯახებამ ორ რევოლიუციონერ წინამძღოლთა შორის გადაათავდა ქუჩუკ-ხანიდან უკან დახევით და მასთან ერთად დაიმალენ ყველა მისი წარმომადგენელნი რეშტში და ენზელში თავიანთ პოლიტიკურ მეგობარ-მოწინავეებით, რომლებსაც სურდა ჩაბარება სახელმწიფოებრივ დაწესებულებებისა. მაგრამ ხალუ კურბანმა, თუმცა იწვნია გამარჯვება, მაგრამ შესუსტდა მეორე მხრით, ვინაიდან მისი ფრონტი შაჰის წინააღმდეგ უმთავრესად ეყრდნობოდა ქუჩუკ-ხანის ძალებს, და წახვლამ კი ამ ძალებისა ფრონტიდან მისცა შაჰის ჯარებს საშუალება ბრძოლის პერიოდში 20 ვერსით წაწევა რეშტისაკენ და მაქარის ქვეშ დაეყენებინა ხალუ-კურბანი და მისი მთავრობა. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ხალუ-კურბანი იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკება შაჰის მთავრობასთან. მოლაპარაკება გრძელდებოდა დაახლოვებით ერთ კვირას და დასასრულ ხალუ-კურბანმა უარი განაცხადა რევოლიუციონურ ბრძოლებზე, აღიარა შაჰის უფლება, მასთან მიიღო გენერლის „ჩინი" და ვერცხლის ხმალი. შაჰთან შეთანხმების თანახმად, ნაწილი კავლერიისა—ხალუ-კურბანის მიმდევართა, უნდა იქნეს განიარაღებული, ნაწილი უნდა გადავიდეს ყაზახთა ნაწილებში, ამავე დროს ხალუ კურბანი დებულობს თავის განკარგულებაში ჯარს. 20 ოქტომბერს რეშტში შევიდა ყაზახთა ნაწილები და მოედანზე გამართულ იქნა ალლუმი. ელიან მოსვლას ყაზახებისა ენზელში.

მოსკოვი. ნოემბრის 15. უკიდურეს შეურიგებელ პოზიციაზე იდგა საფრანგეთი საბჭოთა მთავრობის მიმართ დღეს მის პოლიტიკას აშკარა ცვლილება ემჩნევა. საფრანგეთის მთავრობა მზათ არის დაიწყოს რუსეთთან მოლაპარაკება უკანასკნელის მიერ ომამდე გაცემული სესხის აღიარების თანახმად საფრანგეთის გაზეთები სიხარულით ხვდებიან საფრანგეთის მთავრობის მიერ ძველი შეურიგებელი პოზიციის უარის ყოფას საბჭოთა რუსეთის მიმართ ფრანგული გაზეთი „ერ ნუველი" სწერს: წავიდა ის დრო როცა კლემანსო აცხადებდა, რომ ის არასოდეს არ დაიწყებს მოლაპარაკებას ბოლშევიკებთან. საფრანგეთის პარლამენტში და აგრეთვე საფრანგეთის საზოგადო აზრში მოხდა ცვლილება სადი აზროვნების მხრივ. პირველ ყოვლისა შეურიგებელი პოლიტიკის უარისყოფა საბჭოთა რუსეთთან არის მარჯვე მოხერხებული ნაბიჯი გადადგმული ვაშინგტონის კონფერენციის წინა ხანებში.

ნაუენი. ნოემბრის 11-ს ანგორის ეროვნულმა ყრილობამ დაავალა მთავრობას, რომ აიღოს პარიზში სესხათ 6 მილიონი ოსმალური გირვანქა.

— თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: რომ ინგლისს არა აქვს არავითარი საიდუმლო კავშირი და არც შეთანხმება და ამისათვის ბრიტანეთის დელეგაცია ვაშინგტონის კონფერენციაზე დაიჭერს სრულიად მიუდგომელს პოზიციასა.

— ინგლისის მეფემ თავის სიტყვაში სესიის სხდომის დასასრულს თემთა პალატაში განაცხადა: ევროპის ზავი არა თუ საბოლოოთ დამტკიცებული არ არის, წინააღმდეგ საფრთხეშიაც იმყოფებაო.

მოსკოვი. 13 ნოემბერი. წინააღმდეგ საფრანგეთ-ანგორის ხელშეკრულებისა გამო ინგლისის პროტესტის საპასუხოთ „მატენმა" გამოაქვეყნა საიდუმლო ხელშეკრულება ინგლის-ოსმალეთისა, რომელიც დაუდვიათ კონსტანტინეპოლში 1921 წელს საფრანგეთის უცნობლად. ხელშეკრულება მიმართული იყო საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ და ხალიფატის დასაჩაგვრელად ინგლისის მიერ. საფრანგეთის გაზეთები ინგლისის უკმაყოფილებას „საფრანგეთ-ანგორის ხელშეკრულების წინააღმდეგ ხსნიან მით, რომ ინგლისს სურს ხელთ იგდოს ნავთის წყაროები მოსულში და ამიერ კავკასიაში და არ დაუშვებს დასავლეთ ერების თავისუფალ კონფერენციისა, რომელთანაც ოსმალეთს სურს მოლაპარაკების წარმოება. ინგლისს აშინებს ის, რომ მესოპოტამია ოსმალოთა ახლოთ საშიშს მდგომარეობაში ვარდება. საფრანგეთი უარსა ყოფს დამპყრობის პოლიტიკას მცირე აზიაში და სურს თავისუფალი შეჯიბრება ევროპიელ სახელმწიფოებისა.

სოფელი

3.

უკანასკნელ წერილში ჩვენ დავსვით საკითხი ეკონომიური ორგანიზაციების და ნატურალური გადასახადის შესახებ. ბოლო ხანებში ჩვენ თანდათან ვრწმუნდებით, რომ საქართველოს ეკონომიური მთავარი ორგანოები სუსტნი აღმოჩნდნენ მარაგის ფონდის შექმნაში. ჩვენში რევკომთა აპარატის შემოღების დღიდანვე მთავრობამ გამოაცხადა ვაჭრობის სრული თავისუფლება. და ეს თავისუფლება ვრცელდებოდა იმ საგნებზედაც, რომელზედაც წინედ მონოპოლია იყო გამოცხადებული. დღეს ასეთი საგნებიც კერძო ვაჭრის საკომერციო ნივთად გადაქცეულა. კერძო ვაჭრობამ თითქმის დაჩრდილა სახელმწიფო ეკონომიური ორგანოები.

სოფელი სამედისწერო მდგომარეობას განიცდის. როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ ჩვენი სოფლების 70 პროც. წელს სიმინდი არ ქონია და უსურსათობით გამოწვეულ კრიზისს ებრძოდა და ეხლაც უნდა ებრძოლოს. და ეს კრიზისი იმ დროს იდგა, როცა მინდვრის მეურნეობანი და სხვა სამუშაოები უნდა დაწყებულიყო. ხალხი თავის დროულ, პირდაპირ საქმეს უკან რჩებოდა და დღიურ ლუკმის ძებნაში კატარებდენ დროს. რომ პროვინციის სასურსათო ორგანოები ამ დროს დანიშნულების სათანადო სიმაღლეზე მდგარიყვნენ, ეს მძიმე მდგომარეობა აუცილებლად შემსუბუქდებოდა, რადგანაც ძნელი არ იქნებოდა მათთვის ამ დამშეულ ხალხის დახმარების საქმეში აქტიურად ჩარეულიყვნენ. სასურველი იქნებოდა სოფლის სასურსათო ორგანოებს საერთო ხარჯით შეეძინათ სიმინდი და სხვა სურსათსანოვაგე იმ ადგილებში, სადაც იგი იშოვებოდა და მიეწოდებინათ ხალხისათვის იმ ფასებში რამდენადაც მათ უღირდათ ეს სანოვაგე ადგილზე მიტანით.

თუმცა თებერვლის ამბების შემდეგ ასეთი ორგანიზაციები დაიშალნენ, მაგრამ ჩვეულებრივ დროს მათ დიდი სამსახურის გაწევა შეეძლოთ ხალხისათვის როგორც სურსათის დროზე და იაფ ფასებში მიწოდებით, ისე დროის ეკონომიის მხრივ, რაც ესოდენ ძვირფასი იყო მეურნეთათვის, ასეთ კოლექტიურ ასოციაციებზე დირექტივების მიცემა იყო უმეშველო საზოგადოების მასიური კრებები და იგივე იტოვებდა უფლებას მათზედ უმაღლესი კონტროლისას.

ამჟამად ტფილისის ბაზარზე აუარებელი საქონელი მოიპოვება რომლის მოთხოვნილებაც დიდია სოფლად. ამით აუცილებლად ბოროტად სარგებლობენ ჩარჩები. როგორც გადმოგვცემენ, გორის ბაზარზე ნატურით ვაჭრობენ ეს ჩარჩები, რომლებიც წვრილმან საქონელს „სცვლიან" სურსათზე გლეხებთან ფულის ინტერესი არა აქვს გლეხს იმდენად რამდენადაც სხვა საჭირო ნივთების. ამით საშუალებას პოულობენ ეს მუქთა-ხორები მოატყუონ გლეხი ისე, რომ განსაზღვრული ფასის ღირებულ საქონელში ორჯერ სამჯერ მეტი ღირებულის საგნები გამოაცალონ ხელიდან სოფელს.

რომ სოფელი მართლა გახდეს, ეკონომიკის მხრივ გამოულეველი, დაუშრეტელი წყარო ეროვნული ბედნიერებას ცხოვრების ყველა საეკონომიკო ორგანიზაცია უნდა იყოს სოფლის წიაღიდან აღმოცენებული, თვითონ სოფლის მეურნეები უნდა იყონ ცალკე ასოციაციებში ჩამოყალიბებული.

საქართველოს ყველა კავშირები როგორც ეკონომიური ორგანიზაციები დღეს ვალდებულნი არიან დაეხმარონ სოფელს ამ უბედურების ჟამს. მათ უნდა შესძლონ შეიძინონ სანოვაგე წარმოების ადგილზე დააწესონ ნამდვილი ფასები საქონელზე და მიაწოდონ შრომხარებლებს თავის ღირებულ ფასებზე ან და მინიმალური მოგებით. ასეთი მოქმედება უნდა ახასიათებდეს დაახლოვებით ყველა კოოპერატიულ დაწესებულებებს, რომელთაც ხალხი ხალისით ეკურობოდა ამ ბოლო დრომდე და ეხლა კი დიდი ინდიფერენტიზმით ეკიდება.

გ. თავ[illegible].

მოწერილი ამბები

ბორჩალოს მაზრა. ბორჩალოს მაზრა საქართველოს სხვა მაზრათა შორის სიმდიდრის მხრივ პირველი თუ არა მეორე ადგილი მაინც უჭირავს. ისტორიის ჟამთა-ვითარებამ დღეს ბორჩალოს მაზრაც ქონებრივად დააუსუსტა. მთელს მაზრაში სამეურნეო მოღვაწეობა განელებულია, რითაც უნდა აიხსნას ყოველნაირი ადგილობრივი საქონლის სიმცირე.

საქონლის სიმცირე ხომ უმთავრესი პირობაა ცხოვრების სიძვირისთვის. ნატურალური გადასახადი იწყება. ფულის გადასახადი დაიწყო. ბორჩალოს მაზრის მშრომელი ხალხი ფულის გადახდაზე უარს არ არის, მაგრამ ადგილობრივი კომისიების მიერ ზოგიერთ ადგილებში გადასახადთა უსწორო განაწილებამ ბევრი მცხოვრებელი აიძულა მაზრის რევკომისათვის მიემართა თხოვნით, რათა მათ ქონებასთან შეუფერებელი გადასახადი შეემცირებინა რევკომს. თავ. გ—ძემ არც მოისურვა განეხილა რამდენად სიმართლეს შეესაბამებოდა მათი განცხადება ადგა და ვისაც ერთი მილიონი მანეთი ჰქონდა გადასახდელი ორი მილიონი დააწერა და დააპატიმრა კიდეც. ასეთი ზომა, რასაკვირველია, საბჭოთა მთავრობის პრესტიჟს დასცემს და, რომ შემდეგში ასეთ სიმკაცრეს ადგილი არ ჰქონდეს, საჭიროა მთავრობამ ასეთს მოვლენებს ყურადღება მიაქციოს და ასეთ მოხელეთ შესაფერისი ადგილი მიუჩინოს... კერძოდ მოსამსახურეთა მდგომარეობა აუტანელია. ვინც კი არის აქ, იმასაც თვალები სხვაგან მიურბის.. თითქოს სადაც ჩვენ არა ვართ, სამოთხე იყოს! საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ბორჩალოს მაზრის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახელმწიფო ქონებათა დამცველ ამ დიდ ვალდებულ ორგანოს სათავეში ზის ვიღაც აზოვი—ყოფილი სოფლის მასწავლებელი—სრულიად უცოდინარი საკონტროლო ვითარებისა. საჭიროა რევიზია გაუკეთდეს ამ ინსპექციას.

მერი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი

კალისტრატე ტიმოთეს ძე უჯახია

აცხადებს დაიკარგა მატრიკული № 292 შვიდი სემესტრის შემოწმებული, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

83

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ქალი

გალინა ქოჩიაშვილისა

აცხადებს დაეკარგა ტფილისის უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა № 1271, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

84

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ქალი

ნინა ქოჩიაშვილისა

აცხადებს დაეკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემულ პირადობის მოწმობა № 177 რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

85

მათემატიკაში

(არითმეტიკა-ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრიაში)

გერმანულ, ფრანგულ ენებში ვიძლევი გაკვეთილებს და ვამზადებ მოწაფეებს. მისამართი: პლეხანოვის და ალექსის ქ. კუთხე № 25/5 (იკითხეთ კანდიტერში). ნახვა და მიღება 3—6 ს.

82

ფეხსაცმელები (ბატინკები)

რუსთაველის პროსპ. 24.

ქეზაძის კანტორაში

ფეხსაცმელი მამაკაცების ორწყებიანი ძირით (პადოშვით), რომელიც იხმარება უკალოშოთ ისყიდება 250,000 მანეთად.

78

გიმნაზიის მასწავლებელი

ამზადებს მოწაფეებს

სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია

მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის" რედაქციაში.

[illegible] 1909 [illegible] „[illegible]" [illegible] 4, [illegible]